

ქართვის  
„სამოვრების“  
სიბავშვობა  
= დიქსიონარი  
I

დომსტი მროველი

სსსრკ-ის  
ქართვადთა  
მეფეთა

ქრრრრრრრ რრრრრ

შემდგენლები: მანანა კვაჭაძე, ნინო ნაბრძე, ზურაბ სარჯველაძე,  
მანია ჩხენაძე, თამარ ხაუთია



## მთავარი სარედაქციო კოლეგია:

შ. ძიძიგური (მთავარი რედაქტორი), მ. აბაშიძე, ზ. ალექსიძე, რ. კიკნაძე (მთავარი რედაქტორის მოადგილე), გ. მელიქიშვილი, გ. ნადარეიშვილი, თ. ყაუხჩიშვილი, ვ. ძიძიგური, ე. ხოშტარია, გ. ჯიბლაძე.

ტომის რედაქტორი ზ. სარჯველაძე

წინამდებარე შრომა წარმოადგენს „ქართლის ცხოვრების“ ერთი ნაწილის, კერძოდ, ლეონტი მროველის თხზულებათათვის („ცხოვრება ქართველთა მეფეთა“ და „არჩილის წამება“) შედგენილ სიმფონია-ლექსიკონს. ნაშრომში აღნუსხულია ძეგლში დაცული ყველა სიტყვა როგორც სრულმნიშვნელოვანი (სახელები, ზმნები, ზმნიზებები), ასევე დამხმარე (კავშირები, თანდებულები, ნაწილაკები) და მოტანილია მათი შემცველი კონტექსტები გვერდებისა და სტრიქონების მიითთებით. განმარტებულია სიტყვები, რომელთა მნიშვნელობა მეტ-ნაკლებად უცხოა დღევანდელი სალიტერატურო ქართული სათავის. ლექსიკონს ერთვის ძირთა ინდექსი.

ამ პუბლიკაციით საფუძველი ეყრება „ქართლის ცხოვრების“ შემადგენელი ნაწილების სიმფონია-ლექსიკონების გამოცემას, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა ექნებათ როგორც ცალკეული თხზულებების, ისე მთელი კრებულის მრავალნაირი თვალსაზრისით შესწავლისათვის.

ნაშრომი დიდ დახმარებას გაუწევს როგორც ისტორიკოსებს, ისე ფილოლოგებსა და, საერთოდ, ყველა იმათ, ვინც თავისი მეცნიერული მუშაობით დაკავშირებულია საისტორიო მწერლობის ამ უმნიშვნელოვანეს ძეგლთან. გარდა ამისა, „ქართლის ცხოვრების“ სიმფონია-ლექსიკონი დააინტერესებს მკითხველთა ფართო წრეს.

## შ ე ს ა მ ა ლ ი

### 1. სიმფონია-ლექსიკონის აბაზუღებისათვის

ჩვენმა ფილოლოგიურმა მეცნიერებამ უკვე შექმნა გარკვეული ტრადიცია უმნიშვნელოვანესი ძეგლების სიმფონია-ლექსიკონების შედგენისა. მაგალითად, უკვე არსებობს პროფ. ივანე იმნაიშვილის მიერ შედგენილი „ქართული ოთხთავის სიმფონია-ლექსიკონი“ (თბილისი, 1948-1949 წწ.), აკად. აკაკი შანიძის ხელმძღვანელობით შედგა და გამოცა „ვეფხისტყაოსნის სიმფონია“ (თბილისი, 1956). 1973 წელს დაისტამბა ენათმეცნიერების ინსტიტუტის თანამშრომელთა მიერ შედგენილი „ვეფხისტყაოსნის“ სიმფონია, ფუძეთა და სიტყვა-ფორმათა ინდექსი“. ამჟამად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ძველი ქართული ენის კათედრა მუშაობს ახალი აღთქმის წიგნთა სიმფონია-ლექსიკონის შედგენაზე, ზოლო კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში გამოსაცემად მომზადდა ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლების სიმფონია-ლექსიკონი.

სიმფონია-ლექსიკონში შეტანილია მოცემულ ტექსტში არსებული ყველა სიტყვის ყველა ფორმა<sup>1</sup>, ამასთან ისეთი ლექსიკური ერთეულები, რომლებიც თანამედროვე მკითხველისათვის ძნელად გასაგებია, განმარტებულია. ბუნებრივია, სიმფონია-ლექსიკონთა არსებობა, ერთი მხრივ, ძლიერ აადვილებს საინტერესო ფრაზების, სიტყვების, ადგილების დაძებნას, მეორე მხრივ, სიმფონია-ლექსიკონები უდიდეს დახმარებას გვიწევენ ენის ლექსიკური ფონდის კვლევისას, გვიადვილებენ ტექსტის სწორად გაგებას.

„ქართლის ცხოვრების სიმფონია-ლექსიკონი (I)“ შედგენილია აკადემიკოს სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ 1955 წელს გამოცემული „ქართლის ცხოვრების“ I ტომში შესული იმ ძეგლებისათვის, რომლებიც მიეწერება ლეონტი მროველს. თუ გავითვალისწინებთ „ქართლის ცხოვრებაში“ შესული ტექსტების ისტორიას, მაშინ ბუნებრივად უნდა მივიჩნიოთ მათი სიმფონია-ლექსიკონების ცალ-ცალკე შედგენა.

სიმფონიაში ფორმები დამოწმებულია კონტექსტში, გამოცემის გვერდისა და სტრიქონების ჩვენებით. შევეცადეთ, კონტექსტი ყოფი-

<sup>1</sup> გამოწვევის შეადგენა ზოგი ნაცვალსახელი, ზმნიზება, კავშირი, თანდებული, ნაწილაკი. მათ ზემოთ აქვთ სპეციალური ნიშანი (და\*, ესე\* და მათ.).

ლიყო მოკლე, მაგრამ არაორაზროვანი. ამიტომ გარკვეულ შემთხვევებში საჭირო გახდა ზოგი სიტყვის (უმეტესად ნაცვალსახელთა) დამატება. დამატებული სიტყვები მოთავსებულია ფრჩხილებში. თუ ფრაზასთან ფრჩხილებში ჩაწერილია სათ., ეს ნიშნავს, რომ საილუსტრაციო ფრაზა სათაურის კუთვნილებაა. ფრაზაში გამოტოვებული ადგილები აღნიშნულია მრავალწერტილით.

თუ შემდგენლები არ ეთანხმებიან გამომცემელს ამა თუ იმ ფორმის კანონზომიერებაში, ფორმა გასწორებულია, ოღონდ სქოლიოში მითითებულია გამომცემაში არსებული ფორმაც.

სიმფონია-ლექსიკონში სიტყვები დალაგებულია იმ პრინციპების მიხედვით, რომლებიც შეიმუშავეს ა. შანიძემ და ი. იმნაიშვილმა.

სახელები ბრუნვათა მიხედვითაა მოცემული: წრფელობითი (უნიშნო სახელობითი), სახელობითი, მოთხრობითი, მიცემითი, ნათესაობითი, მოქმედებითი, ვითარებითი, წოდებითი. ამასთან, უნდა გავითვალისწინოთ შემდეგი: თუ ხმოვანფუძიან სახელს ახლავს წრფელობითში მდგომი მსაზღვრელი, სახელის ფორმა წრფელობითად არის მიჩნეული, ხოლო თუ სახელობითში მდგომი მსაზღვრელი, მაშინ სახელის ფორმას სახელობითად ვთვლით. სწორედ ამიტომ გარეგნულად ერთგვარი ფორმები (მაგალითად, მამა ტიპისა) სხვადასხვა ადგილას მოხვდა იმის მიხედვით, წრფელობითი არის საგულგებელი, თუ სახელობითი. თუ აბსოლუტურად ერთგვარი ფორმები გვაქვს, პირველი სრულადაა მოცემული, სხვები — საწყისი ასოთი. ემფატიკურხმოვნაანი ფორმები მოთავსებულია გაუვრცობელ ფორმათა შემდგომ. ცალკე მდგომი თანდებულიანი ფორმები არაა გამოყოფილი და ისინი გათანაბრებულია მარტივი ბრუნვების ფორმებთან. სპეციალურად უნდა შეეხებოდნენ ნანათესაობითარ ფორმებს. ნანათესაობითარი ფორმები დალაგებულია ნათესაობითის ფორმათა შემდეგ ასეთი მიმდევრობით: ნანათესაობითარი სახელობითი, ნანათესაობითარი მოთხრობითი და ა. შ. ზოგ შემთხვევაში გარეგნულად ერთნაირი ფორმები გვაქვს, მაგრამ, თუ ისინი ცალ-ცალკეა გამოყოფილი, მათ შორის ფუნქციას მიხედვით სხვაობაა და დამთხვევა მეორეულია. თუ მსაზღვრელი არ დაირთავს ბრუნვის ნიშანს, დალაგებისას ეს არ არის გათვალისწინებული.

საერთოდ, ჯერ მოცემული გვაქვს ბრუნვის მარტივი ფორმა, შემდგომ გავრცობილი (ა ემფატიკურხმოვნიანი, თუ იგი დაერთვის საზოგადოდ ამა თუ იმ ბრუნვას), შემდეგ თანდებულიანი, ბოლოს კი ნაწილაკიანი (იგულისხმება, რა თქმა უნდა, თუ ბრუნვა მათ იგულებს) ფორმები.

მრავლობითი რიცხვის ფორმები (ჭერ ებიანი, შემდეგ ნართანინი) დალაგებულია მხოლობითი რიცხვის ფორმათა შემდეგ.

ზმნური ფორმები ასეა დალაგებული: ამოსავალ ფორმად მიჩნეულია საწყისი (მხოლოდ ორიოდ შემთხვევაში სალექსიკონო ფორმად აღებულია პირიანი ზმნა), რომელსაც მიწერილი აქვს ინდექსები, რომლებიც გამოხატავენ პირიანობას, ქცევას, გვარს. როგორც მიუთითებს ა. შანიძე: „ინდექსი მოწოდებულია, გვიჩვენოს, თუ როგორ არის ნაწარმოები პირიანი ფორმა ზმნისა და რამდენ პირს შეიცავს იგი. ერთიც და მეორეც გულისხმობს მხოლოდ I და II სერიის ფორმებს. რაც შეეხება III სერიას, აქ ფორმები სულ სხვანაირად არის ნაწარმოები და ეს ინდექსები მათთვის არ გამოდგება“<sup>2</sup>. ა. შანიძემ შემდეგი ინდექსები შეიმუშავა: 0 (ნ უ ლ ი), ა, ი, ი-უ, ე, ღ.

თუ ზმნის ფორმასთან მიწერილია 0-1, ეს ნიშნავს, რომ ზმნის პირიან ფორმას თავში ხმოვანი მაწარმოებელი არ აქვს, და ამასთან იგი ერთპირიანია (ზის); თუ ზმნის პირიან ფორმასთან მიწერილია 0-2, ზმნას არ დაერთვის ხმოვანი პრეფიქსი და ის ორპირიანია (დაბეჭდეს); თუ ზმნის პირიან ფორმასთან 0-3 ინდექსია, სამპირიანი ზმნა ხმოვან პრეფიქსს არ დაერთავს (დახწერე ჭუარი ქვასა ამას). ასევე:

ა-2 ნიშნავს, რომ ორპირიან ზმნას ა პრეფიქსი დაერთვის;

ა-3 „—“ სამპირიან ზმნურ ფორმას დაერთვის ა პრეფიქსი;

ი — გარდამავალი ზმნის სათავესო ქცევის ფორმას (ასეთი ზმნა ყოველთვის ორპირიანია);

ი უობ. — საშუალ-მოქმედებითი გვარის ფორმას;

ი ვნ. — ზმნური ფორმა ვნებითი გვარისაა;

ე — ზმნური ფორმა ვნებითი გვარისაა;

ი-უ სასხვისო ქცევის ფორმას აქვს მიწერილი (ზმნა შეიძლება იყოს გარდამავალი, თუ იგი სამპირიანია, გარდაუვალი, თუ იგი ორპირიანია);

ღ — ერთპირიანი ვნებითი გვარის ზმნა, ნაწარმოებია დ სუფიქსით;

ღ-2 — ორპირიანი ვნებითი გვარის დ სუფიქსიანი ფორმა;

ი-უ-ღ — სასხვისო ქცევის ფორმა დ სუფიქსიანი ვნებითი გვარის ზმნისა;

ენ/ნ — სუფიქსიანი ვნებითი გვარის არქაული წარმოება.

და ბოლოს, თუ გვაქვს 0-2 (3) ინდექსი, ეს ნიშნავს, რომ ზმნა ისტორიულად სამპირიანია, მაგრამ ორპირიანად გადაიქცა. ან კიდევ: 0-1 (2) აღნიშნავს, რომ ზმნა ისტორიულად ორპირიანი იყო, მაგრამ ერთპირიანად იქცა. III სერიის ფორმებთან ნაჩვენები არის ის ინდექ-

სი, რომელიც ამ ტიპის ზმნებს დაერთვის I და II სერიის ფორმებში.

ამ ინდექსთა გათვალისწინებით ზმნის პირიანი ფორმები დალაგებულია მწკრივების მიხედვით: ჯერ სუბიექტური პირის ფორმები, შემდეგ ობიექტური პირისა (ცხადია, თუ ზმნას ყველა ეს ფორმა მოეპოვება). გვინდა სპეციალურად შევნიშნოთ ირიბი ობიექტური პირის ფორმების დალაგებასთან დაკავშირებით: ჯერ მოცემული გვაქვს მხოლოდითი რიცხვის, შემდგომ მრავლობითის ფორმები. ამიტომ, მაგ., აქუს ფორმა გარჩეულია იმისდა მიხედვით, ობიექტი მხოლოდითში შეეწყობა (აქუს მას), თუ მრავლობითში (აქუს მათ). საზოგადოდ კი უნდა შევნიშნოთ, რომ გარეგნულად მსგავსი ფორმები ხშირად არის გათიშული მათი მნიშვნელობების გათვალისწინებით.

ზმნის პირიან ფორმებს მოსდევს საწყისი. ხმოვნით დაბოლოებულ საწყისთა გამოსარჩევად **ა-იანი** ფორმა გვაქვს გამოყენებული. ეს წესი შემოთავაზებულია პროფ. ბ. გიგინეიშვილის მიერ და მოსახერხებელია პირიანი ზმნებისა და საწყისი ფორმების სალექსიკონო მეთურ ერთეულთა განსასხვავებლად.

სიმფონია-ლექსიკონში მრავალი სიტყვაა განმარტებული. ამ საქმეში დიდი დახმარება გაგვიწიეს ს. ყაუხჩიშვილის მიერ შედგენილმა ლექსიკონმა, რომელიც დაერთვის გამოცემის I ტომს, აგრეთვე სულხან-საბა ორბელიანისა და ილია აბულაძის ლექსიკონებმა.

სიმფონია-ლექსიკონში ცალკე არის გამოყოფილი ანთროპონიმები (ადამიანის საკუთარი სახელები), ტოპონიმები (გეოგრაფიული სახელები), ეთნიკური სახელები (აქვე გვაქვს მოცემული ანთროპონიმთა და ტოპონიმთაგან ნაწარმოები წარმომავლობის სახელებიც).

სიმფონია-ლექსიკონის ძირითად ნაწილში შესულ ყველა სიტყვას მიწერილი აქვს ძირი. ძირები გამოყოფილია ძველი ქართული ენის დონის გათვალისწინებით. ამიტომ ნასესხები სიტყვები, თუნდაც ისინი რთული აგებულებისანი იყვნენ (მაგ., ეპიკოპოსი, ბოროტი და სხვა), დაშლილია მხოლოდ ძველი ქართულის დონის გათვალისწინებით (ეპისკოპოს, ბოროტ... და არა: ეპი-სკოპ-ოს, ბოროტ და მისთ.).

ნაწარმს ერთვის ძირთა ინდექსი, სადაც ძირთან მითითებულია მოცემულ ტექსტში არსებული მისგან ნაწარმოები ყველა ფორმა. ვფიქრობთ, ძირთა ინდექსი გააადვილებს საინტერესო ფორმათა დაძებნას. იგი უთუოდ საინტერესოა ენათმეცნიერული თვალსაზრისითაც.



ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის უფროსმა მეცნიერმა თანამშრომელმა თამარ ხაყომიამ 1964 წლის გეგმის მიხედვით ამოწერა ს. ყაუხჩიშვი-

ლის მიერ გამოცემული „ქართლის ცხოვრების“ I ტომიდან ლეონტი მროველის სახელთან დაკავშირებული ძეგლების სასიმფონიო მასალა. შემდგომში დაისვა მისი გამოცემის საკითხი. საჭირო გახდა ამ მასალის შემოწმება, შეგვება, დალაგება. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ ამოწერილ იქნა დიდძალი მასალა ვარიანტებიდან. წიგნში მათ მიწერილი აქვთ (ვარ.).

ეს დიდი და შრომატევადი სამუშაო შეასრულეს კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის თანამშრომლებმა მ ა ნ ა ნ ა კ ე ა ქ ა ძ ე მ (ანიდან რაეს ჩათვლით), მ ა ი ა ჩ ხ ე ნ კ ე ლ მ ა (სანიდან ჰაეს ჩათვლით), ნ ი ნ ო ნ ა ტ რ ა ძ ე მ (ანთროპონიმები, გეოგრაფიული, წარმომავლობის სახელები). მთელი მასალა საბოლოოდ შეამოწმა და მას რედაქცია გაუკეთა ზ უ რ ა ბ ს ა რ ჯ ვ ე ლ ა ძ ე მ. მანვე შეადგინა ძირთა ინდექსი.

## 2. ბაზსთან დაკავშირებული ზოგი საკითხისათვის

აკად. ს. ყაუხჩიშვილისეული გამოცემა ემყარება „ქართლის ცხოვრების“ შემდეგ ნუსხებს: A — Q-795 (ანასეული ნუსხა, XV საუკუნისა); C — Q-207 (ჰალაშვილისეული ნუსხა, XVI საუკუნის II ნახევრისა), M — S-30 (მარიამისეული ნუსხა, 1633-1646 წლებისა), R — H-2080 (რუმინანციისეული ნუსხა, 1703 წლამდე), T — (№ 13 სსრკ მეცნ. აკად. აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილებისა, XVIII ს. I მეოთხედი); c — Q-207 (ჰალაშვილისეული ნუსხის ახალი ნაწილი, 1731 წლისა); m — H-2135 (მაჩაბლისეული ნუსხა, 1736 წლისა); D — S-4770 (ჯანაშვილისეული ნუსხა, XVIII ს. შუა წლებისა); P — H-988 (ფალავანდიშვილისეული ნუსხა, XVIII ს. შუა წლებისა); E — A-131 (1748 წ.); B — (ბროსესეული ნუსხა № 41 სსრკ მეცნ. აკად. აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილებისა, 1839 წ.); b — S-25 (ბარათაშვილისეული ნუსხა, 1761 წ.) s — სხვიტორული ხელნაწერი (XVIII ს. II ნახევრისა); K (№ 441) ქუთაისის სახელმწიფო მუზეუმისა, XIX ს.); n — A-130 (1713 წლისა)<sup>3</sup>.

ს. ყაუხჩიშვილისეული გამოცემის შემდეგ აღმოჩნდა „ქართლის ცხოვრების“ შემცველი კიდევ ერთი ხელნაწერი 1697 წლისა. ეს ნუსხა აღმოაჩინა ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატმა, აწ განსვენებულმა აკაკი კლიშიაშვილმა<sup>4</sup>. ხელნაწერი კარგად არის შემონახული (ამჟამად იგი დაცულია ხელნაწერთა ინსტიტუტში, Q-1219). იგი დაწერი-

<sup>3</sup> „ქართლის ცხოვრება“, I, გვ. 2.

<sup>4</sup> ა. კლიშიაშვილი თვითონვე ამზადებდა ამ ხელნაწერის ტექსტს გამოსაცემად. სამწუხაროდ, მას ეს არ დასცალდა.

ლია ნუსხურად. მრავალ შემთხვევაში ეს ნუსხა საიმედო ჩვენებებს გვაწვდის, თუმცა ტექსტი მასშიც საკმაოდ ხშირად შერყვნილია.

ძირითადი საკითხი, რომელიც ასე გვიანდელი ხელნაწერებით მოღწეული ძეგლის გამოცემისას დგება, შემდეგია: როგორი ენით უნდა ყოფილიყო დაწერილი ნაწარმოები. ს. ყაუხჩიშვილი მიუთითებს, რომ „ქართლის ცხოვრება“ არის საერო მწერლობის ძეგლი. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ უძველეს ნუსხებში (ACMm; ჩვენ დავუმატებლად: Q-1219, — ზ. ს.) ისეთი ენობრივი ფორმები გვხვდება, რომლებიც განასხვავებენ „ქართლის ცხოვრებას“ XI-XII საუკუნეების სასულიერო შინაარსის ძეგლებისაგან. „ქართლის ცხოვრების“ ძეგლებში უხვად არის შეპკრილი ახალი ქართული ენობრივი ფორმები<sup>5</sup>. ს. ყაუხჩიშვილი სავსებით სამართლიანად აღნიშნავს იმასაც, რომ ამ ძეგლში მრავლად გვხვდება ძველი ქართულისათვის დამახასიათებელი ფორმებიც<sup>6</sup>. ძალაში რჩება ს. ყაუხჩიშვილის მოსაზრება იმის შესახებაც, რომ „ქართლის ცხოვრების“ ტექსტი იმის ღირსი არის, „რომ დაიწეროს სპეციალური მონოგრაფია „ქართლის ცხოვრების“ ენა“<sup>7</sup>. ეს მომავლის საქმედ გვესახება. ამჟამად ის შეიძლება აღინიშნოს, რომ „ქართლის ცხოვრების“ ის ნაწილი, რომელიც ლეონტი მროველს უკავშირდება, არსებითად გამართულია ძველი ქართულის ნორმების მიხედვით, მიუხედავად იმისა, რომ ის საერო ლიტერატურის ძეგლია. არსებითად ძველი ქართულის ვითარება არის ასახული ფონეტიკაში, მორფოლოგიაში და სინტაქსში. გადახვევები, რომლებიც ამ მხრივ შეინიშნება, მხოლოდ საერო მწერლობის ძეგლთა დამახასიათებლად ვერ ჩაითვლება, რადგანაც ისინი გაცილებით ადრეულ სასულიერო ძეგლებშიც დასტურდება<sup>8</sup>. საერთოდ, შეიძლება გადაჭრით ითქვას, რომ „ქართლის ცხოვრებას“ არქეტიპი, საიდანაც მომდინარეობს ჩვენთვის ცნობილ ხელნაწერებში წარმოდგენილი ტექსტი, ძველი ქართულის ბოლო პერიოდის ნორმების მიხედვით იყო გამართული.

სპეციფიკური ვითარებაა ძეგლის ორთოგრაფიასთან დაკავშირებით. როგორც ცნობილია, მოღწეულ ხელნაწერთა უმრავლესობა მხედრული ანბანით შესრულებულ ტექსტს გამოავლენს. მხოლოდ სამი ხელ-

5 „ქართლის ცხოვრება“, I, გვ. 046.

6 აბ. იქვე.

7 იბ. იქვე.

8 იხ. ზ. სარაჯველიძე, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის საკითხები, თბ., 1975.

ნაწერი Q-1219 (1697 წლისა), რომელიც არაა ს. ყაუხჩიშვილის გამოცემაში გათვალისწინებული საგვებით გასაგებ მიზეზთა გამო, თეიმურაზისეული (T) და H-988-ის ნაწილი (გამოცემაში P ლიტერით აღნიშნული) არის ნუსხური ანბანით შესრულებული. ეს უკვე შეაპირობებს სხვაობას „ქართლის ცხოვრების“ ორთოგრაფიასა და ნუსხურით შესრულებული ძეგლების ორთოგრაფიას შორის (თუ შესადაარებლად ავიღებთ „ქართლის ცხოვრების“ მხედრული ანბანით შესრულებულ ტექსტს), მაგრამ არ გამოდგება საზოგადოდ ამ ძეგლის დასაპირისპირებლად სასულიერო მწერლობის ნუსხურით შესრულებულ ძეგლებთან<sup>9</sup>. „ქართლის ცხოვრების“ თავდაპირველი ტექსტი უსათუოდ ნუსხური ანბანით იყო შესრულებული, რაც კარგად არის ილუსტრირებული ხელნაწერთა სპეციფიკური შეცდომებით (ცალკეულ ნუსხურ ასოთა მცდარად ამოკითხვა), რასაც დროდადრო სპეციალურად მიუთითებს გამომცემელიც (იხ. გვ. 3; გვ. 14 და სხვა).

„ქართლის ცხოვრების“ მხედრული ანბანით გადაწერილ ხელნაწერებში არ გვაქვს მხოლოდ ასომთავრული და ნუსხური ანბანისათვის დამახასიათებელი გრაფემები ა (ა), ბ (ბ), ც (ც). შესაბამისად განსხვავებული ორთოგრაფიით არის წარმოდგენილი მთელი რიგი ფორმები, სადაც, ძველი ქართულის ნორმათა მიხედვით, ეს ნიშნები ახმარებოდა (უნდა აღინიშნოს, რომ ჰ გრაფემას ს. ყაუხჩიშვილი გამოცემაში წარმოადგენს, თუმცა მხედრული ანბანით შესრულებულ ხელნაწერთა შესაბამის ადგილებში იწერება ხოლმე გრაფემათა ჯგუფი უი). შეიძლება ისიც ითქვას, რომ ა და ვ თითქმის საგვებით კანონზომიერად, თითქმის ყველა მოსალოდნელ ადგილას არის დაწერილი Q-1219 ხელნაწერში<sup>10</sup>.

მაინც როგორ უნდა მოქცეულიყო გამომცემელი? ჩვენ ვფიქრობთ, რომ ა და ვ მას უნდა აღედგინა ყველა შემთხვევაში (რაკი მისთვის უდავო იყო, რომ მხედრული ანბანით შესრულებული ტექსტი ნუსხურით დაწერილიდან მომდინარეობს). მაშინ არ მივიღებდით ისეთ ვითარებას, როცა ერთი და იგივე სიტყვა სხვადასხვაგვარი ორთოგრაფიით არის წარმოდგენილი (შვიდი და შვიდი და მისთ. ანალოგიურად უნდა გადაწყვეტილიყო ჟ-სა და ვ-ს მერყეობასთან დაკავშირებული საკითხიც).

რაც შეეხება ლექსიკას, იგი, მართლაც, რამდენადმე უპირისპირდება სასულიერო მწერლობის ძეგლებისას, მაგრამ ეს დაპირისპირებაც არ არის დიდი. საზოგადოდ, სწორი იქნება, თუ მივიჩნევთ, რომ „ქართლის ცხოვრების“ ლეონტი მროველის სახელთან დაკავშირებული ტე-

<sup>9</sup> შტრ. ს. ყაუხჩიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 046.

<sup>10</sup> ა ზოგ ნუსხურით შესრულებულ ხელნაწერშიც არ იხმარება XI საუკუნეში (ასეთია, მაგალითად, A-584. ზ. სარჯველაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 35).



ქსტი ძველი ქართულის ძირითად მოვლენებს კარგად იცავს და ხელნაწერთა დარღვევებს სწორედ ამ თვალსაზრისით შევაფასებთ და სათანადო შემთხვევებში გავასწორებთ კიდეც.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ მ ა უ დ ი დ ე ს ი შ რ ო მ ა გ ა ს წ ი ა ტ ე ქ ს ტ ი ს შ ე რ ყ ვ ნ ი ლ ი ა დ გ ი ლ ე ბ ი ს გ ა მ ა რ თ ვ ი ს ა თ ვ ი ს. ეს ფაქტი საყოველთაოდ არის აღიარებული, და თუ ჩვენც კიდეც ერთხელ მივუთითებთ ამას, მხოლოდ იმიტომ, რომ ქვემოთ გვინდა ისიც ვთქვათ: ზოგ შემთხვევაში ტექსტი კვლავ საჭიროებს გულდაგულ გამოძიებას და შესწორებასაც<sup>11</sup>.

უპირველეს ყოვლისა, განვიხილავთ ისეთ შემთხვევებს, როცა გამოცემისას დაშვებული უზუსტობა ტექსტის მართებულად გაგებას აძნელებს. 1. ა) წარმოვიდა ესე თარგამოს ნათესავითურთ მისით, და დაემკვდრა ორთა მათ მათა შუა კაცშეუვალთა, არარატსა და მასისსა. და იყო ნათესავი მისი დიდი და ურიცხვ, რამეთუ ესხნეს ცოლმრავალ ძენი და ასულნი, და შვილნი და შვილისშვილნი ძეთა და ასულთა მისთანი (3,11-4,2).

გამოცემის მიხედვით, თარგამოსს ჰყოლია მრავალცოლიანი ვაჟი-შვილები (ესხნეს ცოლმრავალ ძენი), სინამდვილეში კი მემატრიანე გვეუბნება: თარგამოსს ჰყავდაო მრავალი ცოლი, ვაჟიშვილები და ქალიშვილები და ა. შ. ტექსტი აქ ასე უნდა გაიმართოს: **ესხნეს ცოლ მრავალ, ძენი და ასულნი.**

ბ) იწყეს ბრძოლად და ჯდომად ურთიერთას; და განაგრძელეს მათ შორის ბრძოლა, რომელ ჟამსამე აღდგიან ამთვანნი ორნი ნათესავნი ერთსა ზედა, და სხუანი შეეწეოდინ რომელნიმე მას (10,15-18). გამოცემის მიხედვით გამოდის, რომ მიცემითის ფორმას ჟამსა დაერთვის მე ნაწილაკი, რომელიც განუსაზღვრელობას აწარმოებს (ტექსტი ასე უნდა გავიგოთ: **რომელი დაცდროს**). მაგრამ საქმე ისაა, რომ მე ნაწილაკი განუსაზღვრელობითობის ფუნქციით დაერთვის ნაცვალსახელსა და ზმნიზედას და არა არსებით სახელს. ჩანს, ამ შემთხვევაში ხამე ნაწილაკი გვაქვს, რომელიც ნიშნავს: **ოდესმე**. ტექსტი ასე უნდა გაიმართოს: **და განაგრძელეს მათ შორის ბრძოლა, რომელ ჟამ სამე**

<sup>11</sup> „ქართლის ცხოვრების“ ტექსტში დაშვებულ უზუსტობებს შეეხო მ. შანაძე (M. A. Ш а н а ძ ე „Современные текстологические проблемы изучения „Картлис Цховреба“: Актуальные проблемы изучения и издания письменных исторических источников, Всесоюзная научная сессия, посвященная 60 летию образования СССР (Тезисы докладов), Тбилиси, 1982, с. 99—101).

გ. ველიქიშვილმა მიუთითა, რომ „ქართლის ცხოვრების“ გამოცემაში (I ტ. 33, 10) განაშორა ფორმის ნაცვლად შეცდომით არის დაბეჭდილი განაშუენა (Г. А. М е л и к и ш в и л и, К истории древней Грузии, Тбилиси, 1959, გვ. 42, იხ. აგრეთვე საქართველოს ისტორიის ნარკვევები, I, თბ., 1970, გვ. 58—59).

აღდგიან ამათგანნი ორნი ნათესავნი ერთსა ზედა, და სხუანი შეეწეოდინან რომელნიმე მას.

ხოლო მთელი ზემოთ მოყვანილი კონტექსტი ასე უნდა გავიგოთ: და იწყეს ერთმანეთთან მტრობა და ბრძოლა, გააგრძელეს მათ შორის ბრძოლა ისე, რომ დროდადრო (ოდესმე) ერთმანეთის წინააღმდეგ იბრძოდა ორი ტომი, ხოლო ზოგიერთები ერთ-ერთს ეხმარებოდნენ.

გ) შეკრებს ესე ყოველნი თარგამოსიანნი, მიეგებნეს და დაეწყვნეს ადარდაბადაგანს (14, 19-20). დაეწყვნეს ზმნა ბრძოლის მნიშვნელობით ძველ ქართულში არ არსებობს. ამ აღგილას უნდა იყოს: და ეწყვნეს, როგორც არის მთელ რიგ ხელნაწერებში. BMR ხელნაწერებში არის და და ეწყვნეს, რაც შეცდომაა. სხვათა შორის, სხვა აღგილას გამოცემაში ეს ზმნა სწორად არის წარმოდგენილი: და ეწყვნეს მუნ, და იქმნა ბრძოლა დიდძალი (23,22).

დ) დევნა უყვეს მთავართა სომხითისათა, და მოუსწრეს ვიეთმე ჯიღსა და რომელთამე მოუსწრეს ფონსა, და იწყუდინეს იწროსა შინა; და ვერვინ წაუვიდეს (61,17-18). და იწყუდინეს ამ აღგილას შეცდომით არის დაბეჭდილი. უნდა იყოს დაიწყუდინეს, რაც დაწყუდევა ზმნის მოქმედებითი გვარის წყვეტილის III პირის ფორმაა მრავლობით რიცხვში. დაიწყუდინეს ნიშნავს მოიმწყვდიეს მათ ისინი. მთელი ფრაზა კი ასე უნდა გავიგოთ: მათ დაედევენ სომხთის მთავრები, მიუსწრეს ზოგს ხიღზე, ზოგს კი ფონს გასვლისას, მოიმწყვდიეს ისინი ვიწრო აღგილას და ვერავინ წაუვიდათ.

ე) ხოლო ესერა თქუა, დაუტევა ამბორის-ყოფა საუკუნო (76, 15). ესერა ძველ ქართულში ნაწილაკია და ნიშნავს აი. ზემოთ მოყვანილი კონტექსტისათვის იგი შეუფერებელია. ამ შემთხვევაში ორი სიტყვა (ესე და რა) შეერთებულია. ტექსტი ასე უნდა გაიმართოს: ხოლო ესე რა თქუა, დაუტევა ამბორის-ყოფა საუკუნო (რაც ნიშნავს: ხოლო ეს რომ თქვა, გამოემშვიდობა (მას).

ვ) ექმენ, ქრისტე ღმერთო, ამას მოგზაურ, ნათესადგურ, მოძღუარ და ენამეცნიერ (80, 3). ენამეცნიერ „ქართლის ცხოვრების“ I ტომის ლექსიკონში განმარტებულია „ენის მცოდნე“ (გვ. 439).

რა თქმა უნდა, ენამეცნიერ არ შეიძლება იყოს ენის მცოდნე, მაშინ იქნებოდა: ენისა მეცნიერი, ენათა მეცნიერი (ან, რაც უფრო მოსალოდნელია: მეცნიერი ენისაჲ, მეცნიერი ენათაჲ). ამ შემთხვევაში უნდა იყოს: ენამეცნიერ. მთელი ფრაზა ასე უნდა გაიმართოს: ექმენ, ქრისტე ღმერთო,

ამას მოგზაურ, ნავთსადგურ, მოძღუარ და ენა მეცნიერ. ეს ნიშნავს: ქრისტე ღმერთო, ექმენ ამას თანამგზავრი, თავშესაფარი, მასწავლებელი და ბრძნად მეტყველების წარმმართველი. ენა მეცნიერ გამოთქმა ადვილად აიხსნება, თუ გავიხსენებთ ზოგ ადგილს სახარებოდან (ლ. 12, 11; 21, 14—15). დავიმოწმებთ ერთ-ერთ მათგანს:

დაისხენით ესე გულთა თქუენთა, რამთა არა წინააღსწარ იწურთი-დით, რამ სიტყუაჲ მიუგოთ, რამეთუ მე მოგცე თქუენ პირა და სიბრძნე, რომელსა ვერ უძღონ წინააღდგომად და სიტყუს გებად ყოველთა წინააღმდგომთა თქუენთა (ლ. 21, 14—15).

საერთოდ კი, ზემოთ მოყვანილი ფრაზა ნიშნავს: ქრისტე ღმერთო, ექმენ ამას მფარველი ყველგან და ყოველთვის.

ზ) „...მუნ აღვაშენოთ სახლი ღმრთისა სალოცველად ჩუენდა ვიდრე მოსლვადმდე მღდელთა საბერძნეთით“. და მეყუხეულად მოილო ძალი და ასწავებდა ხუროთა და მოჰყუეთა ნაძვ იგი და ნაძვსა მისგან შეჰმზადნა შუენი სუეტნი ეკლესიისანი (111, 21—112, 2). ძალი იკითხება ერთადერთ C (Q-207) ხელნაწერში, მაშინ, როცა ყველა სხვა ნუსხაში არის ძელი. ასევე გასასწორებელია მეყუხეულად (უნდა იყოს: მეყსეულად) და ასწავებდა (უნდა: ასწრაფებდა). ამ ადგილს შესახებ იხ. ზ. სარჯველაძე „ქართლის ცხოვრების“ ერთი ადგილი („ლიტერატურული საქართველო“ № 32 (2265), 1983 წ. 5 აგვისტო).

თ) ხოლო სანატრელი იგი გოდებდა სუეტსა მას ზედა და აღინებდა ცრემლთა მისთა (112, 12). ჩვენი აზრით, ტექსტის ასე წარმოდგენა არ არის მართებული. უნდა იყოს: ხოლო სანატრელი იგი გოდებდა, სუეტსა მას ზედა დაადინებდა ცრემლთა მისთა. ეს ნიშნავს: ხოლო სანატრელი (ნიინო) ტიროდა, სუეტზე დაადინებდა ცრემლებს.

ი) რამეთუ ესერა მოსრულ არს სული ჩემი კორჯად ჩემდა, და მეძინების მე ძილითა დედისა ჩემისათა საუკუნოდ (127, 10—11). უნდა იყოს: დამეძინების მე ძილითა. ძველ ქართულში ვნებითი გვარის პირიანი ფორმა და ზმნისწინის გარეშე არ გვხვდება: მეძინების, გეძინების, ეძინების..., არამედ გვაქვს: დამეძინების, დაგეძინების, დაეძინების და მისთ.

ია) წიგნი ესე წამებისა მისისა იბოვა ესრეთ სულ მცირედ აღწერილი, რომელ ჟამთა შლილობითა ჯერისაებრ ვერვის აღეწერა (248, 10—11). სულ მცირედ ერთი სიტყვაა. ძველ ქართულში სულმცირე ნიშნავს: მსუბუქს, მჩატეს (ილ. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბილისი, 1973, გვ. 405). სულხან-საბას ლექსიკონში ნათქვამია: სულმცირე სულმოკლესავით, ხოლო სულმოკლე გან-

მარტებულისა: რომელმან ვერარა მ.ოთმინოს და მყის შეწუხდეს (ქართული ლექსიკონი, ი. ყიფშიძისა და ა. შანიძის რედაქციით, ტფ., 1928, გვ. 325).

ვფიქრობთ, სულმცირედ „არჩილის წამების“ ანდერძში ნიშნავს: ნაჩქარე ვად, სასწრაფოდ (შდრ. სულხან-საბა). ამიტომ ფრაზა ასე უნდა დაიბეჭდოს: „წიგნი ესე წამებისა მისისა იპოვა ესრეთ. სულმცირედ აღწერილი“, რაც ნიშნავს: მისი წამების ამბავი აღმოჩნდა ასე ნაჩქარე ვად აღწერილი (რადგანაც უამთა სიავის გამო სათანადოდ ვერავის აღწერია).

2. ცნობილია, რომ სასვენი ნიშნების სწორად დასმა მკითხველს ტექსტის გაგებას უადვილებს (რა თქმა უნდა, სასვენი ნიშნების უადგილოდ ხმარება ტექსტის გაგებას ფრიად აძნელებს). ამ თვალსაზრისით თუ განვიხილავთ ლეონტი მროველისეულ ტექსტს, აღმოჩნდება ისეთი შემთხვევები, როცა სასვენი ნიშნები არასწორად არის დასმული (არ გვხვდება ესა თუ ის ნიშანი, სადაც საჭიროა, ან ნიშანი დასმულია, მაგრამ არაა საჭირო). მიუხედავად ამისა რამდენიმე მაგალითს:

ა) გამოცემაშია: შემოკრიბნა გმირნი მისნი და ყოველნი რომელნი ერჩდეს სპანი მისნი (6, 15—16). უნდა იყოს: შემოკრიბნა გმირნი მისნი და ყოველნი, რომელნი ერჩდეს, სპანი მისნი.

ბ) გამოცემაშია: და მოსრა ყოველი რაოდენი ხაზარი პოვა ქართლსა შინა (13, 7—8). უნდა იყოს: და მოსრა ყოველი, რაოდენი ხაზარი პოვა ქართლსა შინა.

გ) გამოცემაშია: სიზმარი იგი, ესე არს (21, 16). უნდა იყოს: სიზმარი იგი ესე არს.

დ) გამოცემაშია: დღე იგი, მწუხრი, გარდაცდა (21, 20). უნდა იყოს: დღე იგი მწუხრი გარდაცდა.

ე) გამოცემაშია: მოიყვანნა სპარსნი ძლიერნი და რომელნიმე დარჩომოდეს შემოკრიბნა ქართველნიცა (29, 23). უნდა იყოს: მოიყვანნა სპარსნი ძლიერნი და, რომელნიმე დარჩომოდეს, შემოკრიბნა ქართველნიცა.

ვ) გამოცემაშია: მათგან კიდე რომელი გარე მეომრად ვანვიდოდეს, იყო ოცდაათი ათასი ქუეითი (55, 13). უნდა იყოს: მათგან კიდე, რომელნი გარე მეომრად ვანვიდოდეს, იყო ოცდაათი ათასი ქუეითი.

ზ) გამოცემაშია: ნაშობსა მკველისასა ეყოფის სუედ რომელ მას მიხდომიან სამეფონი (67, 14). უნდა იყოს: ნაშობსა მკველისასა ეყოფის სუედ, რომელ მას მიხდომიან სამეფონი.

თ) გამოცემაშია: და რააცა გნებაეს უყავ მათ (74, 11). უნდა იყოს: და, რააცა გნებაეს, უყავ მათ.

ი) გამოცემაშია: ანუ-მე უკუე შევსცეთით ნაზარეველის იესუს სიკუდილისა (96, 4—5). უნდა იყოს: ანუ-მე უკუე შევსცეთით ნაზარეველის იესუს სიკუდილისა?

ია) გამოცემაშია: გარდაცადა მეფე ცხენისაგან და ეტყოდა ნინოს: „აწ ღირს ვარ სახელის-დებად ღმრთისა შენისასა და მკსნელისა ჩემისასა“ (111, 1). უნდა იყოს: „აწ ღირს ვარ სახელის-დებად ღმრთისა შენისასა და მკსნელისა ჩემისასა?“

იბ) გამოცემაშია: „ეტყოდეს სალომე უჯარმელი და პეროჟავრი სივნელი, და მათ თანა ერისთავნი და მთავარნი ჰკითხვიდეს, თუ: „ვინა ანუ სადათ მოხვედ ამა ქუეყანასა მაცხოვრად ჩუენდა (უნდა იყოს ?) ანუ სადათმე იყო აღზრდა შენი (უნდა იყოს ?) დედოფალო, მაუწყე ჩუენ საქმე შენი. რასა იტყვ ტყუეობასა, ტყუეთა მკსნელო სანატრელო (უნდა იყოს ?) ...და ვითარ იტყვ, ვითარმედ ტყუე ვარი მე (უნდა იყოს ?) ანუ ვითარ უცხო (უნდა იყოს ?)“.

იგ) განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ერთი ადგილი: გამოცემაშია: მასვე ჟამსა მოწეენულ იქმნა ჩემდა წიგნი ანტიოქიით ჰურიათაგან მღდელთა, რომელსა შინა წერილ იყო ესრეთ, ვითარმედ... რომლისათვის საგონებელ გკჩნს, ვითარმედ ნუუკუე და ზეცით იყო განგება ესევითარი“. განმრავლდა მოწერილი (95, 20—96, 15). ვფიქრობთ, ტექსტი ასე უნდა გაიმართოს: რომლისათვის საგონებელ-გკჩნს, ვითარმედ ნუუკუედა ზეცით იყო განგება“. ესევითარი განმრავლდა მოწერილი.

3. სამწუხაროდ, „ქართლას ცხოვრების“ ხელნაწერები ჩვენამდე XV—XIX საუკუნეების ნუსხებით არის მოღწეული და ბევრი ძველი ფორმა მათში დამახინჯებულია. გამოცემაში მრავალი შერყენილი ადგილი სავსებით მართებულად გასწორებულია. მაგრამ არის შემთხვევები, რომ ხელნაწერთა მცდარი წაკითხვები გაუსწორებელი დარჩენილა. დავასახელებთ ზოგ მაგალითს:

ა) შვდთა ამათ მისცა ხუედრი მათი არძანგებისაებრ მათისა (4, 15—16). ლექსიკონში ვკითხულობთ: არძანგი („პატივი“, „ღირსება“) და მითითებულია ზემოთ დასახელებული კონტექსტი. სალექსიკონო ფორმად ამ ადგილის მიხედვით, უნდა ყოფილიყო არძანგება<sup>12</sup> (და არა არძანგი) და, რაც მთავარია, არძანგება არ არის სწორი ფორმა. ძველ ქართულში გვაქვს არჯანიგი-ი „ღირსი, ღირსეული, ჭერიოვანი“ (იხ. ი. აბულაძე, ლექსიკონი, გვ. 9), უარჯანიგი, უარჯანიგისა<sup>13</sup>.

<sup>12</sup> ასეა ილია აბულაძის ლექსიკონში (გვ. 10).

<sup>13</sup> წ/მ მონაცელობა ქართული ენის გარკვეული პერიოდისათვის კანონზომიერია: ღროხა > ძროხა, ტაძარი-ი // ტაჯარი-ი და სხვა.

ისივე უნდა აღინიშნოს, რომ არძანგ-ი||არზანგ-ი სულხან-საბას ლექსიკონში „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით უნდა იყოს შეტანილი. ამრიგად, არძანგებისებრ უნდა გასწორდეს. მართებულია: არძანიგებისებრ.

ბ) რომელთა ქცევისა წარმოთქმა უკმ არს (17, 10—11). უკმ ძველი და საშუალო ქართულისათვის უცნობი ფორმაა (შდრ.: „ქართლის ცხოვრების“ ლექსიკონი, გვ. 454). უნდა გვექონოდა: უკმარ არს (ეს ნიშნავს: უსარგებლოა, ზედმეტია). საყურადღებოა, რომ ამგვარი წაკითხვა არის სწორედ წარმოდგენილი BP ხელნაწერებში (გამოცემა კი ემყარება M ხელნაწერის მცდარ იკითხვისს).

გ) მოგუეც ძე შენი ცოლად, რომელსა უზის ცოლად ნათესავი ფარნავაზიანთა (29, 13). უზის ცოლად — არაა სწორი ძველი და საშუალო ქართულის ნორმათა მიხედვით. უნდა იყოს: უვის ცოლად (ასეა B ხელნაწერში).

დ) შევიდეს ესენი სომხითს და უგრძნეულად წარმოსტყუენეს შირაკუანი (45, 13—14). უგრძნეულად იკითხება CIH ხელნაწერებში, A-ში ხარეზია. M-ში გვაქვს უგრძნებულად. ეს ფორმა იკითხება Q-1219 ხელნაწერშიც. დანარჩენ ხელნაწერებში წარმოდგენილია უგრძნულად, რაც სავსებით სწორი ფორმაა ძველი ქართულის ნორმათა მიხედვით (იხ. ილ. აბულაძის ლექსიკონი, გვ. 418). ჩვენ ვფიქრობთ, რომ უგრძნებულად ფორმაც დასაშვებია, მაგრამ აშკარა შეცდომაა უგრძნეულად, რომელიც ალბათ უგრძნულად ფორმის დამახინჯებით არის წარმომდგარი. ტექსტიც ასე უნდა გასწორდეს: უგრძნულად წარმოსტყუენეს (უეცრად დაიპყრეს).

ე) დაუტევნა მას შინა ლაშქარნი შემწედ წუნდელთა და მბრძოლად ოძრკეველთა (47, 13). აქ წარმოდგენილი წაკითხვა M ხელნაწერის ჩვენებას ემყარება. ს. ყაუხჩიშვილს აღნიშნული აქვს, რომ სხვა ხელნაწერებში ეს ადგილი ასე იკითხება: ბრძოლად ოძრკელთა წარვიდა. Q-1219 ხელნაწერში გვაქვს მბრძოლად, რაც სავსებით კანონზომიერია ძველი ქართულისათვის, შდრ.: ჰბრძოდე მბრძოლთა მათ ჩემდა, ფსალმ. 34, 1. საყვრმან... განაღძვის... მბრძოლნი იგი, შამათა სწავლანი 17, 37 და სხვა (იხ. ილ. აბულაძის ლექსიკონი, გვ. 224). ამიტომ ზემოთ მოყვანილი ფრაზა ასე უნდა გაიმართოს: დაუტევნა მას შინა ლაშქარნი შემწედ წუნდელთა და მბრძოლად ოძრკეველთა.

ვ) რამეთუ არა ჰყვნეს სპანი მირდატის სპათა ოდენნი (52, 12). ჰყვნეს გვაქვს S-354 ხელნაწერში (დადიანისეული ნუსხა, XVIII ს-ის შუა წლებისა); ჰყუნეს წარმოდგენილია 1839 წელს გადაწერილ ბროსესეულ ნუსხაში, დანარჩენ ხელნაწერებში იკითხება ჰყვის||ჰყუნეს. ძველი ქართულის ნორმაა: ჰყვის მას (მათ) იგინი; ჰყვა (მას

ი გ ი). ამდენად, ეს ადგილი ასე უნდა გასწორდეს: რამეთუ არა ჰყვეს სპანი მირდატის სპათა ოდენნი. ისიც აღსანიშნავია, რომ სხვაგან გამოცემაში ეს ზმნური ფორმა სწორად არის წარმოდგენილი. ჰაოსს არა ჰყვეს სპანი (7, 12).

ზ) ეზრაზნეს ესე სომეხთა მეფესა (57, 7). ხელნაწერთა უმრავლესობაში სწორედ ასეა (გამონაკლისია ცოი ხელნაწერები), მაგრამ ცნობილია, რომ ძველ ქართულ ხელნაწერებში საკმაოდ ხშირად ესენი, ეგენი, იგინი ნაცვალსახელების ნაცვლად მათი შემოკლებული ფორმები: ესე, ეგე, იგო არის წარმოდგენილი. გამოცემისას ხელნაწერის ამგვარ ლაფსუსებს ასწორებენ. ამრიგად, ფრაზა ასე უნდა დაიბეჭდოს: ეზრაზნეს ესენი სომეხთა მეფესა.

ზემოთ განხილულის მსგავსია შემდეგი ნიმუშიც: იგლოვენ იგო თავსა თვსსა 112, 22. ცხადია, უნდა იყოს: იგინი. ტექსტიც ასე უნდა შესწორდეს (სხვათა შორის, სწორი ფორმა არის B ხელნაწერში).

თ) მიეახლა მეფესა და რქუა თვსგან (60, 16), თვსგან ფორმა გვაქვს მარიამისეულ ნუსხაში, ანასეულ ხელნაწერს ეს ადგილი აკლია (ასევე არაა ეს ფრაზა C ნუსხაში) დანარჩენ ხელნაწერებში არის თვსაგან. თვსაგან იკითხება (მართალია, ქარაგმით — თვსგნ) Q-1219 ხელნაწერშიც. ძველ ქართულში თვსაგან ნიშნავს ც ა ლ კ ე: „იყო იგი თვსაგან, მრ. 4, 10; განეშორა თვსაგან ადგილსა ქალაქისასა, ლ. 9, 10 და სხვა. ამრიგად, თვსგან ფორმა დამახინჯებულია. ტექსტი ასე უნდა გასწორდეს: მიეახლა მეფესა და რქუა თვსაგან.

ი) უწყებულ იყავნ შენდა, ძმაო ჩემო, მოიძიენ იგინი და პოვნე რა მისთანანი იგი, სიკუდილითა მოაკუდიენნ. ხოლო რომელი-იგი შეაცთუნნეს, შეუნიერი ხატითა და სახელით რიფსიმე, ჩემდა წარმოავლინე (83, 13—16). დავიწყით იმით, რომ ამ ფრაზაში სასვენი ნიშანი უადგილოდაა. ფრაზის ერთი ნაწილი ასე უნდა წავიკითხოთ: უწყებულ იყავნ შენდა, ძმაო ჩემო, მოიძიენ იგინი და, პოვნე რა, მისთანანი იგი სიკუდილითა მოაკუდიენნ (ეს ნიშნავს: ი ც ო დ ე, ძ მ ა ო ჩ ე მ ო, მ ო ძ ე ბ ნ ე ი ს ი ნ ი და, რ ო ც ა ი პ ო ვ ე, მ ა ს თ ა ნ მ ყ ო ფ ე ბ ი და ხ ო ც ე). უფრო დიდი შეცდომაა: რომელი-იგი შეაცთუნნეს. შეაცთუნნეს ზმნა პირდაპირ ობიექტს ნ სუფიქსიან მრავლობითში მოითხოვს: რომელნი-იგი შეაცთუნნეს (ასეა A ხელნაწერში), მაგრამ ამ შემთხვევაში კონტექსტთან შეუსაბამობა გვექნება: რომელნი-იგი შეაცთუნნეს, შეუნიერი ხატითა და სახელით რიფსიმე. როგორც ჩანს, მოგვიანო ხანის გადაწერებმა აქ, ისე როგორც მრავალ სხვა შემთხვევაში, ტექსტი დამახინჯეს: შეაცთუნნეს ფორმის ნაცვლად შეაცთუნნეს დაწერეს, რამაც ფრაზის გრამატიკულად უჩვეულო კონსტრუქცია მოგვცა. ეს ფორმა უნდა შესწორდეს. საერთოდ, ზემოთ მოყვანილი

ფრაზა ასეთ სახეს მიიღებს: უწყებულ იყავნ შენდა, ძმაო ჩემო, მოიძიენ ივანი და, პოვნე რა, მისთანანი იგი სიკუდილითა მოაკუდინენ, ხოლო, რომელი-იგი შეატუნეს, შეუენიერი სახითა და სახელით რიფსიძე, ჩემდა წარმოავლინე.

ია) ნუ გეშინინ მათგან, რომელთა მოგწყუდნენ კორცნი თქუენნი (87, 5). ასეა Min ხელნაწერებში. სხვა ნუსხებში იკითხება: მოსწყუდნენ (მოსწყუედნენ გვაქვს T ხელნაწერში, Q-1219-ში — მოსწყუშდნენ. ეს ფორმები აშკარად მოსწყუდნენ ფორმის ვარიანტებია). ცნობილია, რომ ეს ადგილი სახარების ტექსტიდან (მათე 10, 28: ლუკა 12, 4) არის აღებული. ქართულ ოთხთავებში იკითხება: რომელთა სოწყუდნენ კორცნი თქუენნი მათე 10, 28 DEG; მოსწყუდნენ FHIK: ლ. 12, 4; მოწყუდნენ DEC; მოსწყუდნენ C; მოსწყუდნენ HIK.

ცხადია, მოგწყუდნენ კორცნი თქუენნი შეცდომაა. გ უადგილოდ არის დაწერილი. ტექსტი ასე უნდა შესწორდეს: ნუ გეშინინ მათგან, რომელთა მოსწყუდნენ კორცნი თქუენნი, ან: მოწყუდნენ კორცნი თქუენნი.

იბ) მრავლითა სულგრძელებითა შენითა იქმენ, რასაც იქმან და მოიგონებენ მტერნი ესე (90, 13). იქმენ არის ხელნაწერთა უმრავლესობაში, იქმან იკითხება AC ნუსხებში. იქმან არის სწორი ფორმა: იქმს იგი, იქმან ივინი (შდრ.: რას იქმან შაფათსა შინა, მარკოზ 2, 24 C). სხვათა შორის, იქმან სწორი ფორმა იკითხება ჩვენთვის საინტერესო ფრაზის მეორე ნაწილში. ტექსტი ასე უნდა გასწორდეს: მრავლითა სულგრძელებითა შენითა იქმან, რასაცა იქმან.

იგ) რომელი იტყოდა ქუეყანასა ზედა თავსა თვისსა ძედ ღმრთისად, მოკუედინო (96, 3). ეს ფრაზა, როგორც „ქართლის ცხოვრების“ ტექსტშია მითითებული, წარმოადგენს პერიფრაზს ერთი ადგილისას (24, 16) „ლევიტელთა წიგნიდან“, რომელსაც ბიბლიური ტრადიცია მოსეს მიაწერს, ბუნებრივია, იტყოდა აქ შეცდომითაა (ასეა მხოლოდ A ხელნაწერში). სხვა ხელნაწერთა მიხედვით, აქ უნდა იკითხებოდეს იტყოდის (B-ში გვაქვს იტყოდეს, რაც იტყოდის ფორმის ვარიანტია). ამიტომ ტექსტი ასე უნდა შევასწოროთ: რომელი იტყოდის ქუეყანასა ზედა თავსა თვისსა ძედ ღმრთისად, მოკუედინო.

იდ) მრავალნი სასწაულნი იხილნა თუალმან ჩემმან მცხეთას, წმიდისა ნინოს მიერ აღსრულებული დღეთა ჩუენთა (97, 11). AC ხელნაწერებში აღსრულებული არ იკითხება საერთოდ, სხვა ხელნაწერების მდგომარეობა ასახულია გამოცემაში. თუ ეს სიტყვა საჭიროა, მაშინ ხელნაწერთა ჩვენება უნდა შევასწოროთ და აღსრულებულნი დაებეჭდოთ, ან კიდევ ეს სიტყვა სრულიად ამოვიღოთ.



იე) და სთნდა მეფესა ადერკის სამოსელი იგი, გარნა... არა ინება გამოლება ჳელთაგან მის მკუდრისათა, რომელსა-იგი მაგრაად და სურვილით შემოემკრდა (100, 5—8).

მაგრაად იკითხება ყველა ხელნაწერში (AC ნუსხებში ეს ფრაზა არ გვაქვს). მაგარ სიტყვის ვითარებითის ფორმა ძველ ქართულში არის მაგრაად (საბლარდნელი ჩემი განვყარე მაგრაად, ნეემია 5, 13 0; ძენი ეფრემისნი, მომრთხმელნი და მოისარნი მაგრაად, ფსალმუნნი 77, 9 და სხვა) და არა: მაგრაად. ამიტომ ხელნაწერთა ჩვენება აქაც უნდა შევესწოროთ: რომელსა-იგი მაგრაად და სურვილით შემოემკრდა.

იე) მეცნიერ გყვენ შენ ამას ყოველსა მიწვენად, რამეთუ ღმერთი არს ცათა შინა (107, 14). გყვენ ფორმა იკითხება A ხელნაწერში; იყავ Bd, იყავნ ხელნაწერთა უმრავლესობაში, გყავნ C ხელნაწერში. საქმე ისაა, რომ გყვენ სრულიად დაუშვებელი ფორმაა. ამ კონტექსტში მოსალოდნელია II ბრძანებითის მესამე პირის ფორმა: გყავნ (ასეა კიდევ C ხელნაწერში). გყვენ, ისე როგორც დანარჩენი ფორმები, გყავნ სწორი ფორმის. დამახინჯების შედეგია, რაც იმასაც ადასტურებს, რომ „ქართლის ცხოვრების“ გადაწერისას II ბრძანებითის ფორმები მოშლილი იყო და გადაწერებს მათი მნიშვნელობა, ბუნებრივია, აღარ ესმოდათ. ტექსტი ასე უნდა გასწორდეს: მეცნიერ-გყავნ შენ ამას ყოველსა მიწვენად.

იზ) შევორგულდით მე და ათნივე იგი ჩემთანანი (113, 12). შევორგულდით იკითხება A და B ხელნაწერებში, სხვა ნუსხებში შევორგულდით ფორმაა. საქმე ისაა, რომ ძველი ქართულის (და არა მარტო ძველი ქართულის, ასეა XV საუკუნემდე საზოგადოდ) ნორმათა მიხედვით, სუბიექტური I პირის ნიშანი ვ, ო და უ ხმოვნების წინ არ იხმარებოდა. ამრიგად, შევორგულდით აშკარად გვიანდელი ფორმაა. ცხადია, უპირატესობა შევორგულდით ფორმას უნდა მიეცეს: შევორგულდით მე და ათნივე იგი ჩემთანანი.

ით) და იყო რაოდენისამე დღისა შემდგომად მარტკლისა უკანას (122, 10). ასეა ხელნაწერებშიც. მაგრამ ამოსავალია მარტკლია (არსებობს მარტკრია — ბერძნულთან უფრო ახლოს მდგომი ფორმაც) „სული იქმიდის მოფენის დღე“. ლოცვანი წმიდისა მარტკლისანი, იოვანესა და ეფთვიმეს ცხოვრება 30, 7; დღე იგი მარტკრისაჲ. საქმე მოციქულთა 20, 16 და სხვა (იხ. ილ. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, გვ. 216). ცხადია, ხელნაწერთა ჩვენება ამ შემთხვევაშიც უნდა გასწორდეს: და იყო რაოდენისამე დღისა შემდგომად მარტკლისა უკანას.

კ) აღასრულის აღნათქუამი იგი მსხუერპლისა (123, 18). ხელნაწერთა უმრავლესობაში ასეა. A ხელნაწერში იკითხება აღნათქუემი.

Q-1219-ში არის ანთქმი (რაც შეიძლება წავიკითხოთ, როგორც აღნათქუემი). ძველი ქართულის ნორმაა აღნათქუემი (აღნათქუელი აღნათქუემი ჩემი, II მეფ. 15, 7 (იხ. ილ. აბულაძე, ლექსიკონი, გვ. 19).

კა) რომელნიმე მათგანნი დარჩეს წარმართობასავე შინა დღეს აქამომდე (126, 6). ასეა A ხელნაწერში. ყველა დანარჩენ ნუსხაში იკითხება: დღესამომდე (ერთადერთი გამონაკლისია III, სადაც დღესამომდე ფორმაა წარმოდგენილი). ძველი ქართულისათვის ნორმაა დღესამომდე (ასევე მოჰყავს ეს ფორმა „ქართლის ცხოვრების“ ნაბეჭდი ტექსტიდან ილ. აბულაძეს თავის ლექსიკონში, იხ. გვ. 144). ამრიგად, ზემოთ მოყვანილი ფრაზა ასე უნდა შესწორდეს: რომელნიმე მათგანნი დარჩეს წარმართობასავე შინა დღესამომდე.

კბ) მე, კოსტანტინე მეფე, თვთმპყრობელი, ახალი მონა ცათა მეუფისა, პირველ ეშმაკისაგან წარტყუენული და მერმე გამოქსნილი დამბადებელისა მიერ, მოვსწერე შენდა ღმრთივგანბრძნობილისა და ჩემთანავე (უნდა: ჩემ თანავე) ახალნერგისა, მორწმუნისა მეფისა მირიანისსა (128, 13—16). ხელნაწერები ნაბეჭდი ტექსტის მოვსწერე ფორმის ადგილას ასეთ ვითარებას წარმოგვიდგენენ: მოვსწერე A; მოვსწერი Min Q-1219; მოვისწრაფე C; მოვსწერ დანარჩენ ნუსხებში. ქართული ენის ნორმალურ სინტაქსურ კონსტრუქციას სწორედ მოვსწერ შეესატყვისება: მე, კოსტანტინე, მეფე თვთმპყრობელი მოვსწერ შენდა (რაც ნიშნავს: მე, კოსტანტინე, თვთმპყრობელი მეფე, გწერ შენ). მოვსწერე ზმნა სუბიექტს მოითხოვს მოთხრობითში. თავდაპირველ ტექსტში რომ მოვსწერე ფორმა გვექონოდა, ფრაზის დასაწყისი ასე იქნებოდა წარმოდგენილი: მე, კოსტანტინე, მეფე მან თვთმპყრობელ მან... მაგრამ, როგორც ვხედავთ, გვაქვს: მე, კოსტანტინე, მეფე თვთმპყრობელი... რაც აშკარად მოწმობს, რომ მოვსწერ ფორმა ზოგიერთ გადამწერს გადაუკეთებია. გამოცემაში, რა თქმა უნდა, ეს კანონიკური ფორმა უნდა აღდგეს.

კგ) მკლველნი მისნი განერინნეს მშუკლობით პაპასა არჩილისსა (246, 17). ზოგ ხელნაწერში იკითხება პაპსა (ACT). ძველი ქართულის ნორმაა პაპი: საფლავსა მას ზედა პაპთა მათთასა, მამათა ცხოვრებანი. (A—1105, XI ს.) 184 v; იყო ნათესავით ქართველი, მშობელთა და პაპთა მთგან დიდებული, როვანესა და ეფთვიმეს ცხოვრება 15: 34 (იხ. ილ. აბულაძე, ძველი ქართულის ლექსიკონი, გვ. 337). ვფიქრობთ, ამ შემთხვევაში პაპსა ფორმას უნდა მივსცეთ უპირატესობა: მკლველნი მისნი განერინნეს მშუკლობით პაპსა არჩილისსა.

კდ) ზოგ შემთხვევაში მოგვიანო ქართულისათვის დამახასიათებელი ფორმა აურჩევეია გამომცემელს. ორაოდე ნიმუში: უკეთუ ქეშმარტად უბიწოთა გულითა გნებავსთ მეფედ თქუენდა ძე ჩემი (29, 7—8).

უძველეს ხელნაწერთაგან ეს ადგილი მხოლოდ M-ში გვაქვს, სადაც ძველი და საშუალო ქართულის ადრეული პერიოდისათვის ჩვეულებრივი გნებავეს იკითხება, გამომცემელს გვიანდელ ხელნაწერთა გნებავესთ ფორმა ჩაუთვლია სწორად.

დაებანაკათ იორსა ზედა (45, 19). უძველეს ნუსხებში გვაქვს დაებანაკა (AM, ასეა Q-1219-შიც, C-ში ეს ადგილი არ გვაქვს), რაც მართებულია ძველი ქართულის, აგრეთვე საშუალო ქართულის ადრეული პერიოდის ნორმათა მიხედვით. ამ შემთხვევაშიც უპირატესობა გვიანდელ ხელნაწერთა ჩვენებას ენიჭება.

ასევე: რომელი ადგილიათ (46, 1). ადგილია, სწორი ფორმა, იკითხება AM ხელნაწერებში, აგრეთვე Q-1219-ში, ადგილიათ გვიანდელ ნუსხებში გვაქვს.

რომელი-იგი გამოეხატათ (82,3). რა თქმა უნდა, სწორი იქნებოდა: გამოეხატათ.

შესცვალა მცირედისა ჟამისა ესე მეფობა (248, 2). ყველა ხელნაწერშია შესცვალა. ამ შემთხვევაში ხელნაწერთა ჩვენება საესებით სწორია და ასეც უნდა გვქონოდა ძირითად ტექსტში.

4. ჩვენი შენიშვნების საკმაოდ დიდი ნაწილი კომპოზიტების (ან გამომცემლის მიერ კომპოზიტებად მიჩნეული ფორმების) დაწერილობას შეეხება. ამთავითვე უნდა ვთქვათ, რომ ეს საკმაოდ რთული საკითხია და, საზოგადოდ, ძველ ქართულ წერილობით ძეგლთა გამოცემებშიც ამ მხრივ დიდი და ყოვლად შეუწყნარებელი სიჭრელე სუფევს. ამიტომ ამ საკითხს შეიძლებოდა არც შევხებოდით, მაგრამ, ვფიქრობთ, ზოგი რამ შეიძლება მომავალ გამომცემლებს მაინც გამოადგეთ.

ჩვენ მიერ განსახილველი ნიმუშები შეიძლება ასე დავალაგოთ: I. კომპოზიტის ნაწილები ცალ-ცალკეა დაწერილი; II. დამოუკიდებელი სიტყვები ჩათვლილია კომპოზიტის ნაწილებად (ზოგი ამგვარი შემთხვევა ზემოთ უკვე ვნახეთ). III. კომპოზიტი სიტყვის დაწერილობისას ერთი ნაწილის კომპონენტი მეორე ნაწილს აქვს მიკუთვნებული.

I. გამოცემაშია:

ა) ეგრის წყალი (24, 1; 24, 4; 70, 20—21);  
მტურის ციხე (8, 13; 12, 1—2; 18, 1; 18, 6);  
ორბის ციხე (9, 1);  
მდინარის თავსა (4, 17—18);  
ზღვს ყურისა (5, 12);  
ცეცხლის მსახურთა (88, 7);  
შდრ.: ცეცხლისმსახურნი (29, 5—6);  
ნოსტის თავითგან (24, 21);

უნდა იყოს:

ეგრისწყალი;  
მტურისციხე;  
ორბისციხე;  
მდინარისთავსა;  
ზღვსყურისა;  
ცეცხლისმსახურთა;  
ნოსტისთავითგან;

ქრისტეს მოყუარებან (80, 14);	ქრისტესმოყუარებან;
შდრ. ღმრთისმოყუარესა (117, 7);	
კაცის სამკლველოსა (73, 16);	კაცისსამკლველოსა;
სისხლის დასათხეველსა (73, 16);	სისხლისდასათხეველსა;
ღმრთის მკდომთა (90, 11);	ღმრთისმკდომთა;
სოფლის მპყრობელთა (90, 17; 107, 2);	სოფლისმპყრობელთა;
ვარდის ფურცელ (85, 2);	ვარდისფურცელ;
ნათლის ფერი (93, 16—17);	ნათლისფერი;
მწუანის ფერობასა (119, 20);	მწუანისფერობასა;
მსწრაფლ მკურნალი (98, 8);	მსწრაფლმკურნალი;
კეისრის სახედ (68, 13);	კეისრისსახედ;
ჯუარის სახედ (105, 1—2; 114, 1);	ჯუარისსახედ;
ცეცხლის სახედ (114, 12);	ცეცხლისსახედ;
ეგრე სახედ (122, 18);	ეგრესახედ;
შუა ღამე (112, 13);	შუაღამე;
ნუ უკუე (21, 5; 63, 9; 79, 14; 89, 12; 89, 15);	ნუუკუე;
ქმნულ კეთილ (246, 24);	ქმნულკეთილ;
შედ წილად (122, 16—17);	შედწილად;
ოცდა რვა (15, 10);	ოცდარვა;
ოცდა ათნი (36, 3);	ოცდაათნი;
არა რომელნი (17, 13—14);	არარომელნი;
არა სადა (55, 5; 136, 1);	არასადა;
ვერღარა ოდეს (60, 4—5);	ვერღარაოდეს;
არღარა ვინ (66, 4—5);	არღარავინ;
არა რა (103, 19);	არარა;
თანა ჰყვა (64, 7; 64, 18);	თანაჰყვა;
თანა შემწეობა (82, 16);	თანაშემწეობა;
თანა წარატანა (125, 15);	თანაწარატანა;
გარე მოქმნა (132, 2);	გარემოქმნა;
გარე მოადგიან (101, 11);	გარემოადგიან;
ზედა მოადგა (114, 5—6);	ზედამოადგა;
მამის ძმისწულსა (12, 15—16);	მამისძმისწულსა;
მამის მამა (16, 14; 16, 16; 31, 5; 98, 13; 99, 2—3);	მამისმამა;
ღედის ძმათა (26, 20; 33, 17);	ღედისძმათა;
მამის ძმა (246, 16);	მამისძმა;
ასულის წული (33, 12; 130, 21; 132, 10; 137, 3; 137, 10; 138, 6);	ასულისწული;

შდრ.: ძისწულისა (132, 9; 135, 22);

ძის ცოლმან (72, 6);

ძისწულის წული (137, 19);

ძისწულის შვილმან (100, 10);

პირველ შენებულსა (9, 9—10);

პირველ კსენებული (8, 22—23; 75, 12; 84, 2);

ძისცოლმან;

ძისწულისწული;

ძისწულისშვილმან;

პირველშენებულსა;

პირველკსენებული.

ბ) გამოცემაში სიტყვის ნაწილებს შორის დეფისი არის, რაც საჭირო არაა:

გ ა მ ო ც ე მ ა შ ი ა :

დედა-ქალაქად (11, 6);

სულ-ამო (98, 8; 119, 20);

რიუუ-რაცუ (114, 14; 120, 13);

ქრისტეს-მიერი (111, 7);

გარე-მოიხილა (113, 14);

სეფე-წული (115, 5);

ჯმა-მალლად (71, 6; 102, 7);

ცის-კიდეთა (101, 16; 102, 1—2);

ცეცხლის-მსახურებასა (65, 8);

მარტოდ-მბრძოლი (57, 18);

არლარა-ვინ (58, 7; 58, 10);

რკინის-კევისათა (51, 17);

ვერლარა-ოდეს (53, 1);

გუთის-კეცს (57, 17);

ვერა-რომელი (30, 16);

ნურა-რას (21, 4);

ცოლ-ქმრობისა (17, 9);

ზღუს-კარი (11, 20; 12, 3);

არაგვს-კარი (12, 4);

უფლის-ციხე (10, 5—6);

შდრ. უფლისციხე (17, 20);

შიდა-ქართლი (10, 7; 12, 2).

უ ნ დ ა ი ყ ო ს :

დედაქალაქად;

სულამო;

რიურაცუ;

ქრისტესმიერი;

გარემოიხილა;

სეფეწული;

ჯმამალლად;

ცისკიდეთა;

ცეცხლისმსახურებასა;

მარტოდმბრძოლი;

არლარავინ;

რკინისკევისათა;

ვერლარაოდეს;

გუთისკეცს;

ვერარომელი;

ნურარას;

ცოლქმრობისა;

ზღუსკარი;

არაგვსკარი;

უფლისციხე;

შიდაქართლი და სხვა.

აქვე ცალკე გამოვყოფთ ტმესის შემთხვევას: ზმნისწინსა და ზმნის ძირულ ნაწილს შორის ჩართული მცა ნაწილაკი ორივე მხრივ დეფისით უნდა გამოიყოს, გამოცემაში კი ფორმა ერთად არის წარმოდგენილი: დამცავსხენით თავნი ჩუენნი სიკუდილად (62, 16). უნდა იყოს: დამცავსხენით.

გ) რთული სიტყვის ნაწილებს შორის დეფისი არის საჭირო, ეს ნაწილები კი ცალ-ცალკეა დაბეჭდილი:

## გ ა მ ო ც ე მ ა შ ი ა :

მოხარკე ყენა (14, 8—9; 16—20; 19, 10);  
 დევნა უყო (21, 18);  
 ზრახვა ყვეს (26, 14; 62, 12—13; 137, 8);  
 წარჩინებულ ყენა (27, 5; 63, 11);  
 კმა უყო (34, 22);  
 დევნა უყვეს (45, 17—18; 61, 18);  
 ტყუე ყენეს (52, 9; 62, 5);  
 ღირს მყავ (60, 17; 73, 18; 129, 13; 246, 13);  
 იმედ ყვეს (72, 14);  
 შეურაცხ ჰყოფენ (83, 5; 103, 4);  
 გულისხმა ყო (87, 11; 105, 21; 107, 8—9);  
 უმკვდრო ყო (245, 5);  
 სპასალარ გყო (247, 4—5);

შდრ.: იეიარ-ყენა (15, 3);  
 კმა-ყო (52, 6);  
 გება-ყვეს (53, 3);  
 კეთილის ყოფად (77, 16);  
 გულისხმის ყოფა (94, 6);  
 ბოროტის ყოფასა (108, 22);  
 ტყუე ქმნეს (23, 24; 28, 14);  
 თაყუანის სცეს (35, 7);  
 კმა სცეს (91, 6);  
 ნუგეშინის გუცემდა (113, 17);  
 შდრ. ნათელ-სცა (95, 9);  
 კირ უჩნდა (21, 10);  
 საგონებელ გვჩნს (96, 14);  
 უცხო უჩნდა (103, 7);  
 საკვრველ უჩნდის (119, 10);  
 ძალ გკც (60, 13);  
 ძალ ედვაა (109, 19);  
 ჭუარს აცუეს (78, 6);  
 ჭუარს ეცუა (94, 4; 119, 1);  
 წილ ხუდა (72, 2—3);  
 ნათელს იღებდა (115, 21);

## უ ნ დ ა ი ყ ო ს :

მოხარკე-ყენა;  
 დევნა-უყო;  
 ზრახვა-ყვეს;  
 წარჩინებულ-ყენა;  
 კმა-უყო;  
 დევნა-უყვეს;  
 ტყუე-ყენეს;  
 ღირს-მყავ;  
 იმედ-ყვეს;  
 შეურაცხ-ჰყოფენ;  
 გულისხმა-ყო;  
 უმკვდრო-ყო;  
 სპასალარ-გყო და  
 სხვა.  
 კეთილის-ყოფად;  
 გულისხმის-ყოფად;  
 ბოროტის-ყოფასა;  
 ტყუე-ქმნეს;  
 თაყუანის-სცეს;  
 კმა-სცეს;  
 ნუგეშინის-გუცემდა;  
 შდრ. ნათელ-სცა;  
 კირ-უჩნდა;  
 საგონებელ გვჩნს;  
 უცხო-უჩნდა;  
 საკვრველ-უჩნდის;  
 ძალ-გკც;  
 ძალ-ედვაა;  
 ჭუარს-აცუეს;  
 ჭუარს-ეცუა;  
 წილ-ხუდა;  
 ნათელს-იღებდა;

• შდრ. ნათელ-ილო (116, 9);	
კელის დადებითა (120, 8—9);	კელის-დადებითა;
ზარის აღსაყდელი (89, 7);	ზარის-აღსაყდელი;
• შდრ.: ზარის-საყდელი (113, 7);	
ჭერ არს (118, 6; 122, 1; 247, 9);	ჭერ-არს;
• ჭერ იჩინო (117, 16);	ჭერ-იჩინო.

ცნობილია, რომ ესე, ეგე, იგი ძველ ქართულში გარკვეულ შემთხვევებში ც ნაწილაკის ფუნქციითაც იხმარება<sup>12</sup>. ამგვარი ნაწილაკი დეფისით გამოიყოფა. „ქართლის ცხოვრების“ გამოცემაში ეს წესი ზოგჯერ არ არის გათვალისწინებული:

ოდეს იგი ეგმანუელ ხატი უჩუენა თავთა მათ მოწაფეთა (92, 17);  
უნდა იყოს: ოდეს-იგი; და რა იგი ვაუწყე მას, ჰყოფს იგი (108, 3); უნდა იყოს: რა-იგი; ესე იყო მამისა თვისისა თანა, რაჟამს იგი დაჰფლვიდეს საგანძურთა (246, 20). უნდა იყოს: რაჟამს-იგი.

## II. სიტყვები დაბეჭდილია ერთად, უნდა იყოს ცალ-ცალკე:

გ ა მ ო ც ე მ ა შ ი ა :

უ ნ დ ა ი ყ ო ს :

ა) მყოვარუამ (105, 1);	მყოვარ უამ;
ყოფილიყო (20, 19; 77, 5; 92, 13);	ყოფილ იყო;
• შდრ.: ყოფილ იყო (92, 12);	
ჩემთანა (22, 11).	ჩემ თანა.

## ბ) სიტყვები წარმოდგენილია დეფისით, უნდა იყოს ცალ-ცალკე:

გ ა მ ო ც ე მ ა შ ი ა :

უ ნ დ ა ი ყ ო ს :

• მუნ-ზედა (8, 9);	მუნ ზედა;
ადგილითი-ადგილად (11, 2);	ადგილითი ადგილად;
• მუნ-შინა (22, 1);	მუნ შინა;
უამითი-უამად (29, 19; 248, 12—13);	უამითი უამად;
ამის-ზე (28, 19; 59, 8; 136, 3; 137, 14);	ამის ზე;
მცირედ-უამ (33, 6; 138, 3);	მცირედ უამ;
• ზურგით-კერძო (34, 3—4);	ზურგით კერძო;
დევთა-სახლად (44, 17);	დევთა სახლად;
• თუ-არა (46, 6);	თუ არა;

<sup>12</sup> ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I, თბ., 1973, გვ. 609.

შემდგომითი-შემდგომად (77, 5);	შემდგომითი შემდგო- მად;
ჩრდილოთ-კერძო (85, 2—3; 113, 21—22; 30, 14);	ჩრდილოთ კერძო;
დასავლეთით-კერძო (87, 14);	დასავლეთით კერძო;
წინა-კერძო (92, 11);	წინა კერძო;
ყრმა-წული (103, 11; 123, 1);	ყრმა წული;
კართი-კარად (103, 12);	კართი კარად;
მუხნართ-კერძო (108, 18);	მუხნართ კერძო;
წლითი-წლად (122, 21—22; 123, 7).	წლითი წლად და სხვა.

### III. კომპოზიტების ნაწილები არაა სწორად გამოყოფილი.

გ ა მ ც ე მ ა შ ი ა :

უ ნ დ ა ი ყ ო ს :

ა) ძელსა თაყუანის-ცემენ (83, 2; 89, 16; 90, 7);	თაყუანი-სცემენ;
ნათელს-ცემდით მათ (86, 14);	ნათელ-სცემდით;
თაყუანის-ცემდეს (87, 19);	თაყუანი-სცემდეს;
ნათელს-ცემდა (116, 13);	ნათელ-სცემდა;
ნათელს-ცემდეს (116, 15);	ნათელ-სცემდეს;
ნათელს-ცეს (117, 16);	ნათელ-სცეს;
კმას-ცემდეს (121, 23).	კმა-სცემდეს და სხვა.

ბ) სიტყვა დაბეჭდილია ერთად, უნდა იყოს დეფისით:

გ ა მ ც ე მ ა შ ი ა :

უ ნ დ ა ი ყ ო ს :

პატივსცემდენ (18, 24);	პატივ-სცემდენ;
შდრ. პატივ-სცემენ (83, 2);	
ცოლქმარნი (94, 11);	ცოლ-ქმარნი;
შდრ. ცოლ-ქმარი (102, 12);	
წამისყოფა (91, 5);	წამის-ყოფა;
ნუგეშინისცემისა (98, 6; 116, 3);	ნუგეშინის-ცემისა;
თაყუანისცემად (79, 7; 81, 16; 98, 1; 112, 2; 119, 3).	თაყუანის-ცემად და სხვა.

5. ერთი და იგივე, ან მსგავსი ფორმები ზოგჯერ სხვადასხვაგვარადაა წარმოდგენილი:

არაგვითგან (9, 4—5); შდრ.: არაგვთგან (9, 14); მეშვიდესა 4, 9—10; შდრ.: შკდთა (4, 15) და სხვა.



არის ისეთი შემთხვევებიც, როცა ხელნაწერში (ან ხელნაწერებში) სწორი ფორმაა, გამოცემაში არასწორი: მოაოხრა ქართლი (47, 9), უნდა იყოს: მოაოჯრა, ასეც არის ხელნაწერებში.

კური რისხვსა იპოვა მეფე (81, 14). უნდა იყოს: რისხვისა. ნ-უსებში სწორედ ასეა.

ხელნაწერებშია: დასუა მეფედ, გამოცემაში — დასვა (45, 6).

რა თქმა უნდა, გასასწორებელი კიდევ ბევრი სხვაც არის, მაგრამ მათ ამჯერად აღარ შევხებით.

**ზურაბ ხარჯველაძე**

**ბაჭყალი**-ი (იყო) ელვა აბჯრისა მათისა, ვითარცა ელვა ცისა 6, 24. ა. და სა-  
ქურეელისა წილ აქუნდა ოქრო სამე-  
ფუო 98, 7 (ვარ.) [აბჯარ].

**აღმზღი**-ი პოვეს ადგილი ერთი მცხეთას  
15,5. მოითხოვეს ა. იგი 15, 16. ა. მა-  
თი არავინ უწყის 78, 16. არს ა. იგი  
101, 4. არავინ უწყის ა. იგი 100, 12.  
ა. ესე შენ მიერ იქმნეს სამოთხე 102,  
4. იგი ა. უძღვეულ არს 106, 21. და-  
ისწავა ა. იგი 110, 11. აღივსო ყოვე-  
ლი ა. სისხლითა 113, 7. ეპისკოპოსმან  
შემზადა ა. ერთი 116, 11. იხილოს სათ-  
ნო იგი ა. ღმრთისა 121, 16. ა. იგი შე-  
ურაცხი იყო 128, 4. არა შეირყიოს  
უკუნისამდე იგი ა. 129, 16. აწ მას აღ-  
ვილსა ჰქვან ხორანთა 5, 11. მოვი-  
და... ა. მას 8, 7. ეწოდა მას ა. სარ-  
კინე 15, 18. დაღვა ა., რომელსა ჰქვან  
ნასტაკისი 18, 5. დასხნა ივინი... ა.  
მას 29, 6. დაადგრეს (ივინი) ა. ზედა  
34, 20. ა. ... ჰქვან ღემოთი 47, 12.  
იგი დაადგინა... ა. მირდატისსა 51, 12.  
იქმნა ბრძოლა... ა., რომელსა ჰქვან  
რეკაა 54, 4. განვიდა ა., რომელსა  
ჰქვან საფურცელე 55, 16. ქუეთინი იგი  
დგეს... ა. ზედა კართა შინა 56, 7. ბრან-  
ქნი... განვიდეს ა. მას კაცისსაპკლევ-  
ლოსა 73, 16. მოვიდეს ლტოლვილ-  
ნი ა. მას, რომელსა ჰქვან ახალქა-  
ლაქი 82,8. და მწყემსნიცა იყვნეს მას-  
ვე ა. 85, 12. მიიწია ა. მას 87, 15. მო-  
ილო სეტყუა ღმრთისა სწორი ა. მას  
91, 12. ნინო დარჩა... ა. მას 91, 14.  
პოვეს მწირი ერთი, მწირისა დედაკა-  
ცისაგან შობილი... უადგილოსა ა. 98,  
10. და დვა (მეფე) ერთსა ა. 109, 15.  
მეფე... დაღვა მასვე ა. 110, 4. ამას  
... ა. აღმართო ძელი ჭუარისა 110, 9.  
განვეშორენით მას ა. 114, 11. ეწოდა

ა. მას მთავართა სანათლო 116, 13. მო-  
იწივნეს ა., რომელსა ჰქვან ერუშეთი  
117, 19. დვა ხე ერთი ა. ერთსა  
119, 6. საკლავსა ა. დიდად წყლულ  
იყვის 119, 9. ვარსკულავე დაადგრა ა.  
ერთსა 121, 9. დამარხეს... გუამი მისი  
ადგილსავე ზედა კუხეთს 128, 3. ნი-  
შანი მათისა წარწყმედისა არს... და  
ამის ადგილისა დიდებისა 113, 17. გინ-  
და ესნა ჩუენი... ა. მისგან ბნელი-  
ა 118, 12. აღიღონ დიდება... ადგილისა  
129, 17. მკვდრთა მის ადგილისათა არა  
ინებეს განდგომა ბერძენთა 24, 1. მიწა  
აღიღე მის ადგილისაგან 94, 1. არიან  
მეორე ამით ადგილით 113, 1. აუწყეს  
მეფესა... ვერძრვა ადგილითცა სუ-  
ეტისა მისი 112, 6. სუეტი ჩამოვიდოდა  
ადგილად თესად 114, 20. დაიპყრნა  
ბნელმან არენი და ადგილნი 109, 12.  
ამათ ერისთავთა ქუეშე, ადგილთა და  
ა., განაჩინნა სპასალარნი 25, 2. ა. და  
ა. იყვნეს ერისთავნი სპარსეთისა 43,  
12. მოვიდა... საზამთროთა ა. სომეხთა  
მეფეთასა 61, 7. ვამსახურო ნიკი ესე  
ჩემი ა. ღმრთისათა 75, 10. წარავლი-  
ნა კაცი ყოველთა ა. 82, 12. შთაქდენ  
(ივინი) ა. ბნელთა 90, 17. ითხოვნა  
მღდელნი მრავალნი, რათა განავლი-  
ნეს ყოველთა... ა. 117, 8. სადაცა  
ჭერ-იჩინო ა. ქართლისათა, აღაშენენ  
ეკლესიანი 117, 16. სსუთა ქალაქთა  
